ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 14233113**

თარიღი:**07/11/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზებისათვის უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების და დამდასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულების (ცვლილება: განკარგულება №g-15.15222003, 19.07.2022წ) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - მეორადი რკინა ბეტონის ფილის (6,0მ/2,0მ/0,14მ) პრივატიზებისათვის.

2. ბრძანების პირველი პუქტით განსაზღვრული მოძრავი ქონების ერთი ერთეული მეორადი რკინა ბეტონის ფილის (6,0მ/2,0მ/0,14მ) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

3. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

მოძრავი ქონების (მეორადი რკინა ბეტონის ფილა) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართისა.

4. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის ვებგვერდი www.eauction.ge-ს მეშვეობით.

5. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

6. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი